P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

რა კორუფციული გარიგება დგას სკვერების გასხვისების უკან?

ქუთაისში ერთ თვეში აუქციონის გარეშე, აღნაგობის უფლებით, 24 სკვერი გასხვისდა

იხილეთ მე-5 გვერდზე

რუსუდან გოგოლაშვილი:

„გაუგებარია, რაში სჭირდება „ბომონდს“ ასეთი ტყუილი?“

ჯანდაცვის სამინისტროს თანხების გადახდის ვადები არ დაურღვევია

იხილეთ მე-2 გვ.

№ 35 (685) 9 - 15 დეკემბერი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

რატომ თქვეს უარი „პატრიოტობაზე“ ყოფილმა ქუთაისელმა „ნაციონალებმა“?

ქუთაისის საკრებულოს ყველაზე დიდი ფრაქცია – „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ – ერთიანობა დაიშალა. გასულ კვირას ფრაქციას 5 დეპუტატი გამოაკლდა. „პატრიოტობაზე“ უარი ყოფილმა „ნაციონალებმა“ მარტივი მიზეზის – პარტიასა და ფრაქციას შორის კოორდინაციის არარსებობის გამო თქვეს.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების შემდეგ ქუთაისის საკრებულოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის ფონზე ფრაქცია „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ჩამოყალიბდა. იგი, მისივე წევრებით დაკომპლექტებულ საკონკურსო-საატესტაციო კომისიასთან ერთად, ადგილობრივ თვითმმართველობაში პროცესების უპირობო მოკარნახე ბოლო რვა თვის განმავლობაში იყო. გასულ კვირას მომხდარი ცვლილებების შემდეგ კი „პატრიოტების“ ბერკეტები შესაძლოა, შესუსტდეს, რადგან 5 დეპუტატის მიერ ფრაქციის დატოვებასთან ერთად, პოსტი დატოვა საკრებულოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, მამუკა მღვდელაძემ, რომელიც აცხადებს, რომ კომისია თავიდან უნდა დაკომპლექტდეს და მის უმრავლესობაში „პატრიოტები“ არ უნდა მოხვდნენ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„გოჩანოსტრა“ — საპროტესტო აქცია ქუთაისის მერიის წინ

„P.S.ფოტო“ (მარიამ პატარაია) ©

გასულ კვირას ქუთაისის მერიის წინ არასამთავრობოებით დაკომპლექტებული საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებით პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისის ორგანიზაციის ლიდერის გოჩა თევდორაძის წინააღმდეგ მორიგი საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციას ამჯერად საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატებიც შეუერთდნენ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ქუთაისი ახალ წელს რეაბილიტირებული ნაძვის ხეებით შეხვდება

ქუჩების საახალწლო მორთულობა ამჯერადაც არ გასცდება ქალაქის ცენტრს...

იხილეთ მე-5 გვერდზე

აშშ-ის საელჩო ჰოვარდის უნივერსიტეტის გოსპელის გუნდს მასპინძლობს - თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში!

იხილეთ მე-7 გვერდზე

წიგნები ბავშვებს

გაზეთ „P.S.“-ის საქველმოქმედო აქცია

იხილეთ მე-2 გვერდზე

„მბრუნავი კარის“ პრინციპით ნაშოვნი მილიონები

იხილეთ მე-3 გვერდზე

არის თუ არა სეპარატიზმის საფრთხე დამოუკიდებელი თვითმმართველობა?

იხილეთ მე-4 გვერდზე

„ტერმინოლოგიური შეფუთვით, შესაძლოა, ქვეყანაში ახალი ავტონომიური წარმონაქმნები გაჩნდეს“

იხილეთ მე-6 გვერდზე

„რჩება შთაბეჭდილება, რომ „ქართულ ოცნებას“ მისი მოკავშირე „პატრიოტთა ალიანსი“ უტევს“

იხილეთ მე-3 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „ჰოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ჰოპული“. წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 7 | ჰოროსკოპი — გვ. 7

ვის რამდენი აქვს ხელფასი საქართველოს ხელისუფლებაში

ხელისუფლების წარმომადგენელთა შემოსავლები ყოველთვის იყო და იქნება მოქალაქეთა ყურადღების ინტერესი, რაც სრულიად ბუნებრივია.

ამ ეტაპზე ყველაზე მაღალი თანამდებობრივი სარგო საქართველოს პრეზიდენტს აქვს და ის 4 720 ლარს შეადგენს.

პრეზიდენტის ხელფასს 470 ლარით ჩამორჩება პრემიერ-მინისტრის ხელფასი. პრემიერის შრომის ანაზღაურება 4 250 ლარია.

მინისტრებს 3 540 ლარი აქვთ ხელფასი, მათ მოადგილეებს კი 2950.

რაც შეეხება პარლამენტის წევრებს, მათი ხელფასი 2 000 ლარს შეადგენს. მინისტრების მსგავსად, მერის შრომის ანაზღაურებაც 3 540 ლარია, გუბერნატორების — 2 950, გამგებლების კი 2360 ლარი.

გარდა ამისა, თანამდებობის პირები სხვადასხვა სახელფასო დანამატებსა და პრემიებსაც იღებენ. აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევების მიხედვით, გასულ წლებში პრემიები და დანამატები ხელფასზე ორჯერ მეტიც იყო.

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ახალმა მთავრობამ მაღალ პრემიებზე უარი საჯაროდ თქვა, თუმცა გარკვეული სახელფასო დანამატების გაცემისა და წახალისების სისტემა დღესაც მოქმედებს.

ამასთან, უკვე ცნობილია, რომ იგეგმება პრეზიდენტის ხელფასის გაზრდა. ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი პრეზიდენტის ადმინისტრაციის არსებული დაფინანსების ფარგლებში გაიზრდება და 9 000 ლარი გახდება, თუმცა გიორგი მარგველაშვილი ხელზე 7 200 ლარს აიღებს.

თანამდებობის პირთა ხელფასებს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 24 იანვრის №43 ბრძანებულება არეგულირებს, რომელშიც ცვლილება 2005 წლის შემდეგ არაერთხელ შევიდა.

ambebi.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:
მარიამ პატარაია

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

გამომცემელი — შპს „P.S."
(„პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

რუსუდან გოგოლაშვილი:

„გაუგებარია, რაში სჭირდება „ბომონდს" ასეთი ტყუილი?"

ჯანდაცვის სამინისტროს თანხების გადახდის ვადები არ დაურღვევია

გაზეთ „P.S."-ის №33-ში (2013 წლის 25 ნოემბერი-1 დეკემბერი) გამოქვეყნებულ მასალას, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში საავადმყოფოების მიმართ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დავალიანებას შეეხებოდა, სამინისტროს წარმომადგენელი გამოეხმაურა. შეგახსენებთ, რომ სტატიაში ქუთაისის გინეკოლოგიური კლინიკის, შპს „ბომონდის" გენერალური დირექტორი მამუკა მიქაძე აღნიშნავდა, რომ სამინისტროს კლინიკის ორთვიანი (სექტემბერ-ოქტომბრის) დავალიანება აქვს.
იმავე სტატიაში თავად ჯანდაცვის მინისტრმა, ბატონმა სერგეენკომ გააკეთა კომენტარი, რომ სახელმწიფოს „ბომონდის" მიმართ დავალიანება არ გააჩნდა.

კლინიკა „ბომონდი"

ასევე, მიქაძის საპასუხოდ საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის სსიპ სოციალური მომსახურეობის სააგენტოს დეპარტამენტის უფროსმა,რუსუდან გოგოლაშვილმა რედაქციას გადმოუგზავნა მონაცემები, რომლებშიც მითითებულია სამინისტროს მიერ კლინიკისთვის გადმორიცხული თანხები, სადაც ჩანს, რომ „ბომონდის" მიერ 16 ოქტომბრამდე წარდგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ყველა თანხა გადმორიცხულია სამინისტროდან.

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამინისტროს მონაცემებში აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 25 ივლისის მონაცემებით სამინისტრომ კლინიკის სახელზე 6 600,00 ლარი გადარიცხა, 8 და 29 აგვისტოს მონაცემებით ჯამში 7772,79 ლარი, ოქტომბერში სამი გადარიცხვის ფარგლებში კლინიკას 104400,00, 15 ნოემბრის მონაცემებით კი კლინიკის სახელზე 10 840,72 ლარი ჩაირიცხა.

მიუხედავად სამინისტროს მონაცემებისა, საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში სამინისტროს მიერ სექტემბრისა და ოქტომბრის თანხის გადახდას არ ადასტურებს „ბომონდის" გენერალური დირექტორი მამუკა მიქაძე. როგორც მიქაძე ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, სამინისტრომ ივლის-აგვისტოს მომსახურების თანხა მხოლოდ წინასაარჩევნოდ ჩამორიცხა. რაც შეეხება სექტემბერ-ოქტომბერში გაწეულ მომსახურებებს, თანხა ჯერ არ ჩამორიცხულა.

მიქაძე ასევე აღნიშნავს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში არსებულ დავალიანებას სამინისტრო მონაცემების დამუშავებისთვის საჭირო დროით ხსნის. არადა, რეალურად, ორთვიანი გადაცილება უკვე დავალიანებაა, რადგან ჯანდაცვის სამინისტროს დეკლარირებულად საავადმყოფოს მიერ მიწოდებული მონაცემების დასამუშავებლად ორკვირიანი ვადა აქვს განსაზღვრული.

ისე, სიმართლე გითხრათ, მე მეორე საკითხი უფრო მაწუხებს, რაზედაც მქონდა აქცენტი გაკეთებული და რაზედაც პასუხი ვერ მივიღე. ეს შეეხება კერძო სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც კვლავ რჩებიან ბაზარზე. კერძო კომპანიებს ასიათასობით დავალიანება აქვთ საავადმყოფოების, რომელთა გადახდასაც ამ დრომდე არ ახდენენ. წესით, სამინისტრომ უნდა აიღოს ამ დავალიანებაზე პასუხისმგებლობა, რადგან, სწორედ სახელმწიფოს მეშვეობით შემოვიდნენ ბაზარზე და დღემდე რჩებიან. მინისტრი სერგეენკო აღნიშნავს, რომ ერთიან სახელმწიფო სადაზღვევო სისტემაზე მალე გადავალთო, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, კერძო სადაზღვევო კომპანიებს კიდევ ექვსი თვით უგრძელდებათ ხელშეკრულება.

> **„მიუხედავად ხარვეზებისა, სახელმწიფო სადაზღვევოებზე უკეთესი გადამხდელია"**

გაურკვეველია, სამინისტროს რაღაც კომპონენტები ჩემთან რატომ უნდა მოდიოდეს იმ სადაზღვევოების გავლით, რომელთაც სამინისტრო უხდის ფულს, მაგრამ თავად სადაზღვევო ჩვენ არ გვირიცხავს.

აღვნიშნავდი და დღესაც ამ პოზიციაზე ვრჩები, რომ მიუხედავად მცირე ხარვეზებისა, სახელმწიფო ყოველთვის იყო და არის ყველაზე კარგი გადამხდელი. არ არის სამინისტროსა და საავადმყოფოს შორის საჭირო შუამავალი, რომელსაც მხოლოდ პრობლემები მოაქვთ. შემიძლია გითხრათ, რომ არსებული მდგომარეობა სადაზღვევო მონობას მაგონებს. როდესაც ადამიანი რაიონების მიხედვით არის დაზღვეული და ვალდებულია, მივიდეს პროვაიდერულ სადაზღვევო კომპანიაში. ანუ ფულის გამცემიც და მიმღებიც არის ერთი, რაც არის ნონსენსი. ირღვევა ადამიანის კონსტიტუციური უფლება, აირჩიოს თავისი ჯანმრთელობისთვის საჭირო სერვისი. აქვე უნდა დავამატო, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარება არ უნდა იყოს სადაზღვევო კომპანიის ხელში, რომელსაც პაციენტი სადაზღვევო კომპანიის დაქვემდებარებაში მყოფს საავადმყოფოში გადაჰყავს, არამედ სასწრაფო უნდა იყოს ქალაქის საკუთრებაში.

— ბატონო მამუკა, თქვენი განცხადების საპასუხოდ სამინისტრო კლინიკის სახელზე გადმორიცხული თანხების მონაცემებს ასაჯაროვებს, რასაც თქვენ არ დადასტურებთ. თუკი რეალურად არსებობს ორთვიანი დავალიანება, მაშინ რატომ უარყოფს ამ ფაქტს სამინისტრო?

— არ ვიცი, ეგ სამინისტროს უნდა ჰკითხოთ.

გაგრძელება **მე-4 გვერდზე**

წიგნები ბავშვებს

ტყიბულის რაიონის ორპირის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ახლაგაზრდულ ფორუმზე შემუშავებული პროექტი, რომელიც წიგნის პოპულარიზაციას ეხებოდა, წარმატებით განახორციელეს. 2013 წლის 29 ნოემბერს ორპირის საჯარო სკოლაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება მოეწყო.

„P.S.ფოტო" ©

წიგნები ორპირის სკოლისთვის

გაზეთმა „P.S."-მა სამოქალაქო კლუბს 1000 ლარზე მეტი ღირებულების 150 ცალი წიგნი გადასცა. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი სკოლაში „ვეფხისტყაოსნის" ზეპირად მთქმელი ქალბატონის სტუმრობასა და კალიგრაფიის კონკურსის შემაჯამებელ ღონისძიებას დაემთხვა.

ორპირის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა წერილობით მიმართა გაზეთ „P.S."-ის მთავარ რედაქტორს, ნატო გუბელაძეს და სთხოვა, წიგნების პოპულარიზაციის პროექტის განხორციელებაში მხარდაჭერა. მხარდაჭერამაც არ დააყოვნა.

ნატო გუბელაძე (გაზეთ „P.S."-ის მთავარი რედაქტორი): „ჩვენი ორგანიზაცია პერიოდულად ახორციელებს ასეთი ტიპის აქციებს. რედაქციასთან არსებობს „მომავალი თაობის წიგნიერების განვითარების ფონდი", სადაც შემოწირულობებს აკეთებენ სხვადასხვა ბიზნესკომპანიები თუ კერძო პირები. ხოლო შესაბამისი თანხით ჩვენ ვიძენთ წიგნებს და გადავცემთ მას სკოლებს და ისეთ დაწესებულებებს, სადაც დევნილი ან სოციალურად დაუცველი ბავშვები სწავლობენ. ასეთი აქციები უკვე გვქონდა ქუთაისში მდებარე დევნილთა სკოლაში, ბავშვთა სოფელში და რამდენიმე მცირეკონტინგენტიან სკოლაში.

ამჯერად მინდა მადლობა გადავუხადო იმ ადამიანებს თუ ბიზნესკომპანიებს, რომელთა დახმარებითაც დიდი სიხარული მივანიჭეთ ორპირის საჯარო სკოლის მოსწავლეებს, ესენი არიან: კერძო პირები – **თეონა გუბელაძე, სალომე მამალაძე და** კომპანიები: **„მარიონელა", „იმერგლასკომპანი", დასავლეთ საქართველოს ინფექციურ დაავადებათა ცენტრი, შპს „ავტოტრანსკორპორაცია", ლერი ხონელიძის სახელობის კლინიკა, შპს „იმერეთი" (კეჩის ბაზრობა), შპს „იბერიის ვარსკვლავი".**

იმედი გვაქვს, რომ კეთილი ადამიანების ხელშეწყობით, ასეთი აქციების გაგრძელებას კვლავ შევძლებთ.

ნინო ბოლათაშვილი (ორპირის საჯარო სკოლის დირექტორი): „ეს არის ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკისათვის და ჩვენი სკოლის მოსწავლეებისათვის ძალიან დიდი საჩუქარი, ამიტომ ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „გაზეთ „P.S."-ს. ჩვენ მომავალშიც განვახორციელებთ წიგნის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა ტიპის აქციებს და ჩვენი საიმედო პარტნიორი ყოველთვის იქნება გაზეთი „P.S."

მაკა ჩინჯიშვილი

„2014 — წიგნიერების წელი" — ლოგოს კონკურსი

საქართველოში ტარდება კამპანია 2014 წლის წიგნიერების წლად გამოცხადების მიზნით. ამ ინიციატივას უკვე უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება სპეციალურ პეტიციაზე, რომლის ონლაინ-ვერსიას შეგიძლიათ გაეცნოთ ინტერნეტში:
www.petitions24.com/2014
კამპანიის ფარგლებში გამომცემლობა „დიოგენე" აცხადებს წიგნიერების წლის ლოგოს კონკურსს. კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. გაგზავნეთ წიგნიერების წლის ლოგოს ორიგინალური, თქვენ მიერ შექმნილი ერთი ან რამდენიმე ესკიზი ელექტრონული სახით მისამართზე:
2014@diogene.ge
წიგნიერების წლის ლოგოს კონკურსი 2013 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელდება.
გამარჯვებული მიიღებს კომპანია „ბილაინის" მიერ დაწესებულ ფულად პრემიას 500 ლარის ოდენობით.

რატომ თქვეს უარი „პატრიოტობაზე“ ყოფილმა ქუთაისელმა „ნაციონალებმა“?

პირველი გვერდიდან

ხმაურიანი პროცესები გასულ კვირას ფრაქციიდან 5 დეპუტატის: მერაბ მეშველიანის, ლევან კირკიტაძის, ირინე ივანეიშვილის, გიორგი შავგულიძის და სერგო ლექვინაძის გასვლით დაიწყო.

ყოფილმა „პატრიოტებმა“ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადეს, რომ მათი პარტიული ლიდერი, დავით თარხან მოურავი, დეპუტატებს სახელებით და გვარებითაც კი არ იცნობდა და ისიც არ იცოდა, რამდენი წევრი იყო ფრაქციაში. უფრაქციოდ დარჩენილი დეპუტატის, მერაბ მეშველიანის განცხადებით, სწორედ კოორდინაციის არარსებობა და პარტიის გაუგებარი პოლიტიკური კურსი იყო მთავარი მიზეზი მის მიერ გუნდის დატოვების.

თუმცა, საკრებულოს ყველაზე დიდი ფრაქციის დაშლას ყველაზე შთამბეჭდავი ფონი არა ყოფილმა „პატრიოტებმა“, არამედ იმ დეპუტატებმა შეუქმნეს, რომლებიც ფრაქციაში დარჩნენ. 5 დეპუტატის მიერ „პატრიოტობაზე“ უარის თქმამდე რამდენიმე საათით ადრე მოქმედმა „პატრიოტებმა“ განაცხადეს, რომ იმერეთის უშიშროების სამსახურში ფრაქციის წევრებს იბარებენ და მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებენ.

კახა ნემსიწვერიძე, გოგიტა გოგელაშვილი და ტარიელ მესხი ირწმუნებოდნენ, რომ უშიშროება დეპუტატებს ფრაქციიდან წასვლას აიძულებდა.

„ჩვენ სხდომა გვქონდა, სადაც ვისაუბრეთ იმაზე, რომ თუ ვინმე ვერ გაუძლებდა ზეწოლას, შეეძლო წასულიყო,“ – განაცხადა მესხმა.

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმეებში უშიშროების უხეში ჩარევა მკაცრად გააკრიტიკა ნემსიწვერიძემ და განაცხადა, რომ მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა ევროინტეგრაციის გზას ადგას, ძალოვანი სტრუქტურები არ უნდა წყვეტდნენ დეპუტატების პოლიტიკურ მომავალს.

„ვინც გაუძლო ზეწოლას, თქვენც ხედავთ, აქ არიან, ვინც ვერა – გავიდნენ ფრაქციიდან,“ – განაცხადა პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ ქუთაისის ორგანიზაციის ლიდერმა გოჩა თევდორაძემ საგანგებო ბრიფინგზე, სადაც მან ფრაქციაში დარჩენილი დეპუტატები დემონსტრაციულად წარუდგინა მედიას.

„ბ.ს.ფოტო“ (მარიამ პატარაია) ©

„განმდგარი“ „პატრიოტები“

თევდორაძემ ბრიფინგზე კონკრეტული გვარებიც დაასახელა. მისი თქმით, დაშინების პროცესში აქტიურად იყო ჩართული სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს დასავლეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსი ზაზა მეფარიშვილი, რომელიც უშუალოდ თვითმმართველობის საკითხებში პრემიერის მრჩეველის, ირაკლი მელაშვილის, დავალებით მოქმედებდა.

უშიშროებაში პოლიტიკური „კონსულტაციების“ გავლას კატეგორიულად გამორიცხავენ თავად უფრაქციო დეპუტატები. მათი თქმით, ყოფილმა თანაგუნდელებმა ცრუ ბრალდება მიმდინარე პროცესების გადაფარვის მიზნით მოიგონეს. მიმდინარე პროცესებში კი დეპუტატები თვეების წინ ხელოვნურად შექმნილი ფრაქციის დაშლის ბუნებრივ პროცესს გულისხმობენ და აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში ფრაქცია შესაძლოა, სხვა დეპუტატებმაც დატოვონ.

***

ფრაქციიდან დეპუტატების გასვლას, იძულებითი ერთიანობის დაშლის პირველ ნაბიჯებად აფასებს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მღვდელაძე. მღვდელაძე, რომელმაც საკრებულოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი უკვე დატოვა, აცხადებს, რომ მისი ნაბიჯი გოჩა თევდორაძის კულუარული მმართველობის დაშლის გაგრძელებაა.

„გოჩა თევდორაძე იქცა რუხ კარდინალად. მან თვეების წინ მარტივად დაარწმუნა რამდენიმე დეპუტატი იმაში, რომ ის იყო ერთადერთი, ვის გარეშეც ქალაქი ვერ იმართებოდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. ახლა, როცა გაიმართა სამთავრობო სტრუქტურები, ქალაქში მოვიდა ახალი მერი, ყველა მიხვდა, რომ კულუარული მმართველობა უნდა დასრულდეს. ყველაფერს, რაც გოჩას კულუარულ პოლიტიკასთან ასოცირდება, უნდა გავრიდოთ,“ — მიაჩნია მამუკა მღვდელაძეს, რომელიც აცხადებს, რომ გოჩა თევდორაძესთან ურთიერთობით ყველაზე მეტად თავად დაზარალდა, თუმცა, იმ დროს ასე იყო საჭირო.

„განრიდებული“ მამუკა მღვდელაძე, რომელსაც თევდორაძის გუნდთან თანამშრომლობის გამო, მკაცრად აკრიტიკებდნენ, ახლა უკვე მისივე შეფასებით „რუხი კარდინალის“ წინააღმდეგ მებრძოლ მთავარ ძალად იქცა და თევდორაძის წინააღმდეგ იმ არასამთავრობოთა გახშირებულ პროტესტს შეუერთდა, რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებისთვის საპარლამენტო არჩევნებიდან მოყოლებული იბრძვის.

თავად გოჩა თევდორაძისთვის არც არასამთავრობოები და არც ფრაქციიდან გასული დეპუტატები ანგარიშგასაწევ ძალას არ წარმოადგენს. მისი თქმით, მის წინააღმდეგ საპროტესტო აქციებს პირადი კეთილდღეობის მიღებით დაინტერესებული რამდენიმე ადამიანი მართავს, ფრაქციიდან გასული დეპუტატების პოლიტიკური წონა კი გაცილებით მცირეა, ვიდრე მთელი „პატრიოტთა ალიანსისა“.

მისი თქმით, ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსი“ არ დაიშლება და ის გააგრძელებს „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობას, თუმცა კულუარებში უკვე საუბრობენ იმაზე, რომ, შესაძლოა, „განრიდების“ პოლიტიკის შედეგად თავად „ოცნებამ“ თქვას უარი „პატრიოტებთან“ თანამშრომლობაზე და უფრაქციო დეპუტატებთან ერთად ახალი უმრავლესობა შექმნას. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა უფრაქციოდ დარჩენილ დეპუტატთა ნაწილი საკუთარ პოლიტიკურ მიზნებს არ მალავს და ღიად აცხადებს, რომ, შესაძლოა, „ქართულ ოცნებას“ შეუერთდეს.

მარიამ პატარაია

„რჩება შთაბეჭდილება, რომ „ქართულ ოცნებას“ მისი მოკავშირე „პატრიოტთა ალიანსი“ უტევს“

ქუთაისის საკრებულოში გასულ კვირას განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საკრებულოს „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელმა და წევრმა კახა ნურალიძემ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და სპეციალური განცხადება გაავრცელა. ნურალიძის თქმით, „ქუთაისის „პატრიოტთა ალიანსის“ ხელმძღვანელი, ადრე „ნაციონალური მოძარობის“ ლიდერი გოჩა თევდორაძე, ცდილობს ლაფში ამოსვაროს „ოცნების“ სახელი.

კახა ნურალიძე აცხადებს:

„2013 წლის 4 დეკემბერს მასმედიის საშუალებებით გავრცელდა კიდევ ერთი სტატია, რომელიც ქუთაისის საკრებულოს „ქართული ოცნების“ ფრაქციის წინააღმდეგ არის მიმართული. წინა სტატია გამოქვეყნდა 13 ნოემბერს, რომელიც ასევე მიზნად ისახავდა პირდაპირი ტყუილებით ჩვენს ლაფში ამოსვრას. რჩება შთაბეჭდილება, რომ „ქართულ ოცნებას“ მისი მოკავშირე „პატრიოტთა ალიანსი“ უტევს. ეს უკვე, რბილად რომ ვთქვათ, მეტისმეტია. პირველი, რაც მინდა საზოგადოებას ვუთხრა, აუცილებელია, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ პარტია „პატრიოტთა ალიანსი“ და მისი ქუთაისის ორგანიზაციის ე.წ. ლიდერი, პიროვნება, რომლის ცხოვრება ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველა ქუთაისელისთვის ცნობილია, პიროვნება, რომელიც ისევ დაკავებულია ქალაქის ფარული მართვის ბერკეტების შენარჩუნებით. სწორედ ეს გახლავთ ქუთაისის მერიაში მერების პერმანენტული ცვლის მიზეზი. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ პიროვნებასთან მიმართებაში „ პატრიოტთა ალიანსი“ და „ქართული ოცნება“ არაფერ შუაშია. მინდა ყველას შევახსენო, რომ ჯერ კიდევ იანვარ-თებერვალში საკრებულოს დეპუტატთა უმრავლესობამ სურვილი გამოთქვა „ქართულ ოცნებაში“ გადმოსვლის შესახებ. რასაც მოჰყვა დიალოგის ფორმატში მათი შეხვედრები კოალიციაში შემავალი პარტიების ლიდერებთან. სწორედ აქ დაიწყო ამ პიროვნების მიერ, რომელსაც ჰაერივით სჭირდებოდა „პატრიოტთა ალიანსი“, ჩვენი კოლეგების დაშინება-დაშანტაჟება ძველი ნაცადი მეთოდებით. საკრებულოს ზოგიერთი დეპუტატის დამუშავების ფაქტები დღესაც სახეზეა. მოქმედების სქემა ნაცადი და მარტივია. ამ ფეოდალის მიზანი არის, საკრებულოში ჰყავდეს მუდმივი უმრავლესობა, რომელიც აღასრულებს მის პირად სურვილებს და საშუალებას მისცემს მას ულტიმატუმის ენით ესაუბროს ქალაქის აღმასრულებელ ხელისუფლებას. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ „პატრიოტთა ალიანსი“ აქ არაფერ შუაშია. დღეს ეს ყველაფერი მთავრდება. ჩვენი კოლეგები ნათლად ხედავენ შექმნილ მდგომარეობას და სიმართლეს, აკეთებენ ადეკვატურ არჩევანს. ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება აღნიშნული პიროვნების ინტერესებს და სწორედ ეს გახლავთ ბოლო ორი კვირის განმავლობაში „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ დაწყებული ისტერიის მიზეზი. ეს პიროვნება გახლავთ გოჩა თევდორაძე. ჩვენ მივესალმებით ნებისმიერი სახით სამართლიანი გამოძიების დაწყებას ქუთაისის სინამდვილეში, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაიმარჯვებს სიმართლე და ზოგიერთი ვაი მოღვაწის ნამოქმედარს მიეცემა ადეკვატური შეფასება როგორც საზოგადოების, ასევე სამართალდამცავების მხრიდან.“

„მბრუნავი კარის“ პრინციპით ნაშოვნი მილიონები

რა საფრთხეს შეიძლება წარმოადგენდეს სახელმწიფოსთვის ბიზნესმენი პოლიტიკოსი ან პირიქით — პოლიტიკოსი ბიზნესმენი? და რას ნიშნავს „მბრუნავი კარის“ პრინციპი?

ბიზნესიდან პოლიტიკაში და პოლიტიკიდან ბიზნესში პოლიტიკოსთა გადაადგილებებისას, თანმხლებ საფრთხეებთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ჩატარებული კვლევის შედეგები თბილისის შემდეგ ქუთაისში წარმოადგინა.

მომხსენებელთა თქმით, „მბრუნავი კარის“ პროცესი პრობლემად იქცევა მაშინ, როცა ბიზნესიდან სახელმწიფო თანამდებობაზე მოსული პირები თავიანთ მდგომარეობას კონკრეტული კომპანიების სასარგებლოდ იყენებენ. ასევე – მაშინ, როცა ბიზნესში მყოფი ყოფილი თანამდებობის პირები ხელისუფლებაში შენარჩუნებული კონტაქტებისა და გავლენის წყალობით, თავიანთ კომპანიებს ბაზარზე უსამართლო უპირატესობის მოპოვებაში ეხმარებიან.

კვლევის ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ ფაქტები, რომლებიც შესაძლოა, „ მბრუნავი კარის“ საფრთხეებს შეიცავდეს, ქართულ რეალობაში საკმაოდ ბევრია. მათი თქმით, საქართველოს პარლამენტში არაერთი ბიზნესმენია წარმოდგენილი, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთ წევრს პირდაპირი ან ირიბი კავშირი აქვს ბიზნესთან.

კვლევის შედეგად ახალ ხელისუფლებაში „მბრუნავი კარის“ ყველაზე მასშტაბური ფაქტი ენერგეტიკის სამინისტროში გამოვლინდა. როგორც ცნობილია მინისტრს კახა კალაძეს თანამდებობაზე დანიშვნამდე პირდაპირი კავშირი ჰქონდა ენერგეტიკის სექტორში მოქმედ რამდენიმე კომპანიასთან. ამასთანავე იმავე სამინისტროში ამ დრომდე მუშაობს მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი, რომელიც 2011 წელს შპს „ტოტ ენერჯის“ დირექტორი იყო, რაც კვლევის ორგანიზატორთა თქმით, კანონდარღვევაა.

კანონდარღვევის ფაქტები იკვეთება „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში. მაგალითად თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული ბიზნეს კომპანიები 2012 წლამდე თითქმის მთლიანად აკონტროლებდნენ საქართველოს სატელევიზიო ბაზარს. ამის შედეგი იყო ის, რომ იმ წლებში ტელეკომპანია „იმედმა“ ორჯერ ისარგებლა საგადასახადო ამნისტიით.

როგორც ირკვევა „მბრუნავი კარის“ პრინციპით ყოფილი ბიზნესმენები პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ საკუთარი ბიზნესინტერესების დასაცავად კანონების მიღებასაც კი ახერხებდნენ. მაგალითად, 2012 წელს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც კომპანიებს გარემოზე ზიანის მიყენებისგან პასუხისმგებლობის არიდებას ითვალისწინებდა, რაც თავის მხრივ, დეპუტატ კობა ნაყოფიას ბიზნესინტერესებზე იყო მორგებული.

„ჩვენ ჩავატარეთ კვლევა და გამოვკითხეთ ადამიანები, არის თუ არა მათ ირგვლივ კორუფცია? როგორც გამოიკვეთა, მთავარი პრობლემა და კორუფციის ერთ-ერთი წყარო არის სწორედ ე.წ. „მბრუნავი კარი“, რომლის დროსაც ყოფილი პოლიტიკოსი, რომელიც ბიზნესში გადავიდა, იყენებს თავისი ბიზნესის ლობირებისთვის პოლიტიკაში მიღებულ პრივილეგიებს და პირიქით, პოლიტიკის ლობირებისთვის იყენებენ ბიზნესს, როცა ბიზნესიდან გადადიან პოლიტიკაში. ჩვენი კვლევის მიზანი იყო საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირება და გარკვეული რეკომენდაციების მიწოდებაც სახელმწიფოსთვის,“ — ამბობს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის იურისტი **თეონა ზაქარაშვილი**.

კვლევის შედეგად არასამთავრობო ორგანიზაციამ კონკრეტული რეკომენდაციებიც შეიმუშავა.

კერძოდ: უნდა გამოსწორდეს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და უნდა განისაზღვროს, თუ რომელი უწყებები არიან ვალდებული, უზრუნველყონ თანამდებობის პირთა მიერ სხვადასხვა სამართლებრივი ნორმის დაცვა.

ამასთანავე, ცვლილებები უნდა შევიდეს ქონებრივი დეკლარაციების სისტემაში, უნდა გაფართოვდეს ის წრე, ვისაც მოეთხოვება ქონებრივი დეკლარაციის წარდგენა.

მათივე აზრით, აუცილებელია, ტარდებოდეს მონიტორინგი ყოფილი თანამდებობის პირთა საქმიანობაზე, მათი პოსტიდან წასვლის შემდეგ გარკვეული პერიოდის მანძილზე.

მარიამ პატარაია

„გოჩანოსტრა" — საპროტესტო აქცია ქუთაისის მერიის წინ

პირველი გვერდიდან

მასშტაბურ აქციაზე აქტივისტებმა კიდევ ერთხელ გააპროტესტეს ქუთაისის საკრებულოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შედეგები და კომისიის დაშლა მოითხოვეს. აქციაზე ასევე გაჟღერდა საკრებულოს თავმჯდომარის თამაზ მარგველაშვილის გადაყენების მოთხოვნა. მათი თქმით, გოჩა თევდორაძე, რომელიც ყველა ამ პროცესს მართავს, უნდა ჩამოშორდეს ქალაქის მართვას.

„თევდორაძემ უნდა დაკარგოს მართვის სადავეები და მაშინ დალაგდება ყველაფერი. ცალკე არც ერთი დეპუტატის წინააღმდეგ არ გამოვდივარ, მე გამოვდივარ გოჩა თევდორაძის კულუარული პოლიტიკის წინააღმდეგ," — განაცხადა „ქართული ოცნების" დეპუტატმა **მამუკა მღვდელაძემ.**

აქციას გამოეხმაურა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი შოთა მურღულია და განაცხადა, რომ კონკურსის შედეგები გადახედვას საჭიროებს.

„რადგან ასეთი მასშტაბურია საზოგადოების პროტესტი, საჭიროდ მიმაჩნია, გავარკვიოთ რამდენად სამართლიანია მათი პროტესტი," — განაცხადა **შოთა მურღულიამ.**

აქციის დასასრულს, აქტივისტებმა აქციაზე გაჟღერებული მოთხოვნები 4 პუნქტად ჩამოაყალიბეს და ქალაქის მერს მოუწოდეს პასუხისმგებლობა აიღოს ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე პროცესებზე.

მარიამ პატარაია

რუსუდან გოგოლაშვილი:

„გაუგებარია, რაში სჭირდება „ბომონდს" ასეთი ტყუილი?"

ჯანდაცვის სამინისტროს თანხების გადახდის ვადები არ დაურღვევია

მე-2 გვერდიდან

გაუგებარია, რაში სჭირდება „ბომონდს" ასეთი ტყუილი

ამ ფრაზით დაიწყო ჩვენთან საუბარი საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, რუსუდან გოგოლაშვილმა, როცა ჩვენ კვლავ დავუკავშირდით მას „ბომონდის" დავალიანებასთან დაკავშირებით.

— ქალბატონო რუსუდან, გთხოვთ დაგვიკონკრეტოთ, დღეის მდგომარეობით, აქვს თუ არა სამინისტროს სექტემბერ-ოქტომბრის თვეში გაწეული მომსახურების თანხა „ბომონდისთვის" გადასარიცხი?

— ჩვენ თანხების გადარიცხვას ორგანიზაციებისთვის ვაწარმოებთ 2013 წლის 21 თებერვლის საქართველოს მთავრობის დადგენილება №36-ის მიხედვით, საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ. ამ დებულებას გამოგიგზავნით ახლავე და გთხოვთ, ბატონ მამუკა მიქაძესაც წააკითხოთ. კერძოდ, დებულების მე-8 მუხლის პუნქტი3 ითვალისწინებს, რომ „მიმწოდებელი ვალდებულია, შესაბამისი საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარადგინოს განმახორციელებელთან არა უგვიანეს შესრულებული სამუშაოს თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, ხოლო მე-14 მუხლის პუნქტი 2 ითვალისწინებს, რომ „საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირების ვადაა საანგარიშგებო დოკუმენტაციის ჩაბარებიდან არა უმეტეს 30 სამუშაო დღე".

ჩვენ ეს ვადები არ დაგვირღვევია არც „ბომონდთან" და არც სხვებთან. იქნებ, სჯობდა ბატონ მამუკას ის რიცხვიც დაესახელებინა თქვენთვის, თუ როდის წარმოუდგინა სამინისტროს დოკუმენტაცია?

„ბომონდისგან" სექტემბერ-ოქტომბრის თვის დოკუმენტაციის ერთი ნაწილი ჩვენთან შემოვიდა 11 ნოემბერს, რომელიც უკვე დამუშავებულია და ანგარიშ-ფაქტურა გადაცემულია ფინანსურ სამსახურში, რაც მომავალ კვირაში ჩაირიცხება. ხოლო, დოკუმენტაციის მეორე ნაწილი ელექტრონულად მივიღეთ 16 ნოემბერს, ხოლო ქაღალდის ვერსია 21 ნოემბერს. მოხდება ამ დოკუმენტაციის კანონის მიხედვით გადამოწმება და თანხაც თავის ვადებში ჩაირიცხება.

რა დავალიანებაზეა საუბარი და რატომ სჭირდება ბატონ მამუკას ასეთი ტყუილები? იმიტომ ხომ არა, რომ კლინიკის პაციენტთა ის უკმაყოფილობები გადაფაროს, რაც ზოგჯერ სამინისტროს მონიტორინგის სამსახურის ყურამდეც აღწევს ხოლმე?...

ნესტან ჩაგელიშვილი

არის თუ არა სეპარატიზმის საფრთხე დამოუკიდებელი თვითმმართველობა?

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები 2014 წლის ივნისში ჩატარდება. მანამდე კი საკანონმდებლო ორგანოში მთავრობის მხრიდან შესულია კანონპროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი," რომელიც მწვავე პოლიტიკური დისკუსიის საგანი გახდა საზოგადოებაში. მთავრობის ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ამ კანონმა შესაძლოა სეპარატიზმი და ქვეყნის რეგიონებად დაშლა გამოიწვიოს.

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერი მამუკა კაციტაძე მიიჩნევს, რომ ამ კოდექსის შემუშავების დროს მისი შეთანხმება ფართო საზოგადოებრივ წრეებთან არ მომხდარა, იგი სახელისუფლებო ჯგუფში ჩაიხარშა და ისე მოხდა კონცეფციის პროექტად ქცევა.

„ამ პროექტთან დაკავშირებით კი ერშიც და ბერშიც გაურკვევლობაა. ისტორიკოსებიც, საპატრიარქოც და პოლიტიკოსებიც თვითმმართველობის კოდექსს ვაკრიტიკებთ. ეს პროცესი „ქართულმა ოცნებამ" კულუარებში ჩახარშა და კონცეფციიდან ისე შექმნა პროექტი, რომ ფართო საზოგადოებრივი ჯგუფები გარიყა. ვიღაცას რომ თომას ჯეფერსონობა მოუნდა, ურიგო არ არის, მაგრამ როდესაც ამხელა ამბიცია გაქვს, სხვა თვისებების ქონაც აუცილებელია," — განაცხადა **კაციტაძემ.**

კოდექსის მოწინააღმდეგეების მთავარი სამიზნე მე-7 კარია, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების შექმნას ითვალისწინებს, რომლის ადმინისტრაციული საზღვარიც გუბერნატორის სამოქმედო ტერიტორიას დაემთხვევა.

რეგიონული გაერთიანებების შექმნა პროექტის ერთ-ერთი მთავარი ნოვაციაა. კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტების რეგიონულ გაერთიანებად სახელმწიფო რწმუნებულის — გუბერნატორის ინსტიტუტი ყალიბდება, რომლის ფუნქციებიც არსებითად იცვლება. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული გაერთიანების ფუნქციები ამომწურავად არის ჩამოთვლილი და ეს ფუნქციები არ არის საერთო სახელმწიფოებრივი ან პოლიტიკური მნიშვნელობის, ოპონენტები მაინც მიიჩნევენ, რომ ასეთი გაერთიანების შექმნა, ზოგადად, საქართველოს დაშლის წინაპირობაა.

რეგიონული გაერთიანებების უფლებამოსილებათა შორის არის: შესაბამისი ტერიტორიის განვითარების სტრატეგიის შექმნა და დამტკიცება; მის მართვაში გადაცემული საავტომობილო გზების მართვა; მის მართვაში შემავალი სხვადასხვა სახის კულტურული დაწესებულებების მოვლა-შენახვა; გაერთიანებაში შემავალი მუნიციპალიტეტების მყარი ნარჩენების გადამუშავება და უტილიზაცია და სხვა.

რეგიონულ გაერთიანებას გუბერნატორი ხელმძღვანელობს, ხოლო მის კოლეგიურ ორგანოს წარმოადგენს საბჭო, რომელიც გაერთიანებაში შემავალი მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრებით კომპლექტდება. გუბერნატორი, ერთის მხრივ, ანგარიშვალდებულია მთავრობის, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოს წინაშე. გუბერნატორი, კანონპროექტის თანახმად, უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებების აღსრულებას და ვალდებულია, ანგარიში წარუდგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ. ამასთან, საბჭოს სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, ასევე ექნება უფლება, რომ მთავრობის წინაშე დასვას სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი.

რეგიონული თვითმმართველობა – სეპარატიზმის საფრთხე?!

პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების ერთი ნაწილი მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანებების შექმნას ავტონომიური ერთეულის ჩამოყალიბებასთან აიგივებს და მასში სეპარატიზმის ხელშეწყობის საფრთხეს ხედავს.

ამგვარი საფრთხეები დაინახა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმაც. „თვითმმართველობის კანონი თუ განხორციელდა, ეს საქართველოს დაშლა იქნება" — განაცხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში სადღესასწაულო წირვის დასრულების შემდეგ.

„ჩვენი პარლამენტი და ხელისუფლება დღეს განიხილავს და მსჯელობს თვითმმართველობის საკითხზე. ესმეტად რთული საკითხია. თუ განხორციელდა, ჩვენ მივალთ საქართველოს დაშლისკენ. ჩვენ ამას არასდროს შევეგუებით და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს არ შესრულდეს. საქართველო იყო და იქნება ერთიანი ერი, ერთიანი ქვეყანა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ, როცა ძლიერი იყო ხელისუფლება და მის გარშემო მთელი ქვეყანა, ძლიერი იყო საქართველოც," — აღნიშნა უწმინდესმა, რომელიც, ასევე, მიიჩნევს, რომ ყოველი რაიონი უშუალოდ დაკავშირებული უნდა იყოს ჩვენს ხელისუფლებასთან. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს ის პრობლემები, რომელიც არსებობს რაიონში. ამას არ სჭირდება შუა რგოლი და ხელისუფლება თვითონ უნდა განიხილავდეს, უნდა შეისწავლოს, რა სჭირდება თითოეულ რაიონს.

პატრიარქის განცხადებას გამოეხმაურა მთავრობის კანცელარიის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი მელაშვილი, რომელმაც ამ თემაზე გადაცემა „რეზიუმეში" ისაუბრა. როგორც ირაკლი მელაშვილმა აღნიშნა, თავად პატრიარქს კანონპროექტის 120-გვერდიანი დასკვნა წაკითხული ვერ ექნებოდა და მნიშვნელოვანია, რომ მას სრული ინფორმაცია მიაწოდონ.

„პატრიარქს სრული უფლება აქვს, თავისი შეფასებები გააკეთოს. მთავარია, მას სრული ინფორმაცია მიაწოდონ იმაზე, თუ რა ხდება. იმ ადამიანებს, რომელთაც კანონპროექტი წაკითხული არ აქვთ, მაგრამ დასკვნებს აკეთებენ, ასეთს რამდენიმეს შევხვდით განხილვისას, როდესაც ვიღაცის დასკვნას ეთანხმებოდნენ. როდესაც ვეკითხებოდი, თუ ჰქონდათ წაკითხული კანონპროექტში რა ეწერა, ამბობდნენ, არ წაგვიკითხავს, მაგრამ მოვისმინეთო. ეჭვი მაქვს, რომ თავად პატრიარქს ეს 120-გვერდიანი დოკუმენტი წაკითხული ვერ ექნებოდა. ვინ მოამზადა დასკვნა, ამაზე ვერაფერს ვიტყვი," — განაცხადა **მელაშვილმა.**

„არსებითი საფრთხეების შემცველი თვითმმართველობის კოდექსი არ ყოფილა, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა, ბოლო ორი დღის განმავლობაში საქართველოს მთავრობას უმრავლესობის წევრებთან ინტენსიური კონსულტაციები გვქონდა. რამდენიმე ნორმა გადაიხედა და შეიცვალა. თუმცა კიდევ ერთხელ, ხაზს ვუსვამ, რომ თვითმმართველობის კოდექსი იმ საფრთხეების შემცველი არ ყოფილა, რაზეც საუბარი იყო," — განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა **დავით ნარმანიამ.**

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი წევრის ზვიად ძიძიგურის თქმით, ამ კოდექსისათვის სეპარატიზმის საფრთხის დაბრალება არის უსამართლობა.

„სასიამოვნოა საზოგადოების აქტიურობა ამ საკითხთან დაკავშირებით, ეს არის უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რომელიც საზოგადოების ყველა ფენისათვის არის მნიშვნელოვანი და საინტერესო, საპატრიარქოს გუშინდელმა განცხადებამ ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა. ამიტომ ჩვენთვის ყველას აზრი გასათვალისწინებელი და მისაღებია. მინდა, გითხრათ, რომ ამ კოდექსისთვის სეპარატიზმის საფრთხის დაბრალება, არის უსამართლობა, მაგრამ თუ კი რაიმე საფრთხეს ვინმე ხედავს ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ ყველა ეს საკითხი," — განაცხადა **ძიძიგურმა.**

თვითმმართველობის რეფორმის ნაჩქარევად ჩატარება გააკრიტიკა „ქრისტიან-დემოკრატების" ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ვეფხვაძემ. როგორც მან „პირველის პრესკლუბში" განაცხადა, ევროსაბჭომ არასერიოზულად აღიქვა ვადები, რომელშიც ხელისუფლება კანონის დაწერას და რეფორმის ჩატარებას აპირებს.

„თვითმმართველობის არჩევნებამდე დარჩა 6 თვე. ამ დროში უნდა მოვასწროთ თვითმმართველობის რეფორმა, უნდა დავყოთ ქალაქები და მუნიციპალიტეტები, უნდა შევთანხმდეთ საარჩევნო სისტემაზე და მერე ჩავატაროთ არჩევნები. დღეს არ ვიცით საერთოდ, სად ვატარებთ და როგორ ვატარებთ არჩევნებს. რამდენად რეალისტურად გგონიათ ან ამ რეფორმის განხორციელება და თუ ის განხორციელდა, მაშინ არჩევნების მაისში ან ივნისში ჩატარება? ამ ვადებთან დაკავშირებით შეფასება გააკეთა ევროსაბჭოს დირექტორატმა, რომელმაც პირდაპირ თქვა, რომ ეს არის დასაცინი. პირდაპირ უწერია ექსპერტს, რომ რასაც დღევანდელი ხელისუფლება აპირებს, ცოტა არასერიოზულია," — განაცხადა **ლევან ვეფხვაძემ.**

თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით გაკეთებულ მწვავე შეფასებებს გამოეხმაურა არასამთავრობო სექტორიც. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებაშია ნათვამი. „მიუხედავად იმისა, რომ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს გვაქვს გარკვეული შენიშვნები „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" სხვადასხვა მუხლების მიმართ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მიუღებლად მივიჩნევთ რეფორმის ნებისმიერი დისკრედიტაციის მცდელობას, მით უმეტეს იქ, სადაც, მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობის უფლების განხორციელება არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებთან და მის სუვერენიტეტთან, არამედ, ემსახურება ხელისუფლების ვერტიკალური დაბალანსების და მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველობის შემოღებას." განცხადებას ხელს აწერს 23 არასამთავრობო ორგანიზაცია.

ცოტნე პაატაშვილი

რა კორუფციული გარიგება დგას სკვერების გასხვისების უკან?

ქუთაისში ერთ თვეში აუქციონის გარეშე, აღნაგობის უფლებით, 24 სკვერი გასხვისდა

მიმდინარე წლის 2 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით ქუთაისის მერიამ ქალაქში მდებარე 24 სკვერი 25 წლიანი აღნაგობის უფლებით გაასხვისა. აღსანიშნავია, რომ სკვერების გასხვისება არ მომხდარა აუქციონის წესით და მოსარგებლეებმა ფართები 5 წლით პირდაპირი აღნაგობის უფლებით მიიღეს.

„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

სკვერების აღნაგობის უფლებით გაცემის უკან კორუფციულ გარიგებას ხედავს პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ორგანიზაცია. ორგანიზაციის თავმჯდომარის, გოგი წულაიას განცხადებით, სკვერების გასხვისებით ფულს ისევ მერიასთან დაახლოებული პირები შოულობენ. უფრო მეტიც, წულაია ასევე აღნიშნავს, ამ უკანონო გასხვისების შესახებ ინფორმირებულია პროკურატურა და უშიშროება.

„ეს არის ქალაქის საკუთრებაში არსებული სკვერების, სადაც შეიძლება ხე დაირგას და გალამაზდეს, უკანონოდ გასხვისება. არ ჩატარებულა აუქციონი, ასობით კვადრატული მიწა წლიურად მიზერულ თანხებად არის გასხვისებული. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეტანილია მუხლი, რომლის მიხედვითაც 25 წლის შემდეგ, თუკი აღნაგობის უფლებით მოსარგებლეს სკვერში რაიმე შენობა ექნება აშენებული, მერია იძულებულია, ეს შენობა იმ დროისთვის არსებული საბაზრო ღირებულებით გამოისყიდოს. გამოდის, რომ პირი, რომელიც სკვერში წლების განმავლობაში ტონობით ფულს შოულოს, 25 წლის შემდეგ კვლავ მერიისგან მიიღებს ფულს. აქამდე ხომ ჩვენ გვძარცვავდნენ, ახლა ისე, გამოდის, რომ 25 წლის შემდეგ ჩვენს შვილებსაც გაძარცვავენ. ეს არის ბიუჯეტის განიავების კიდევ ერთი ფაქტი," — აღნიშნავს **წულაია.**

რეალურად რა პირობებით არის სკვერები გასხვისებული, ამის დადგენას მერიის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურში შევეცადეთ.

როგორც ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა, ჯემალ გოგრიჭიანმა, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, სკვერები არავითარი გამოსყიდვის პირობით არ არის გასხვისებული. თუმცა, ჩვენს მოთხოვნაზე, ხელშეკრულებაში ჩადებული პირობა მკითხველისთვის გასაგები ენით განემარტა, გოგრიჭიანმა აღნიშნა, რომ მათ ხელშეკრულებაში ჩაწერილი მუხლები თვითმმართველობის შესახებ არსებული კანონმდებლობიდან გამოიყენეს და რომ მათ ჰაერზე არაფერი მოუგონებიათ. ხოლო შენიშვნაზე, ადამიანური ენით განემარტა, რას გულისხმობდა კანონი, აღნიშნა, რომ ის იურისტი არ არის და კანონს ამ დონეზე არ იცნობს.

გოგრიჭიანმა ვერც იმაზე მოგვცა პასუხი, რა მოხდება 25 წლის შემდეგ, როდესაც აღნაგობის უფლებას ვადა გაუვა.

„თქვენ ახლა ნოსტრადამუსობა დამაწყებინეთ, რა ვიცი, რა მოხდება 25 წლის შემდეგ. მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ხელშეკრულებაში ჩადებული პუნქტით მერიას შეუძლია, სურვილის შემთხვევაში, მეაღნაგეს გაუგრძელოს აღნაგობის უფლება არსებული შენობის სავარაუდო ვადით, რომელზეც დასკვნას ექსპერტი დადებს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნაგობის უფლების მქონე პირი უარს იტყვის ვადის გაგრძელებაზე, მას ერთმევა ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც," — აღნიშნა **ჯემალ გოგრიჭიანმა.**

რას გულისხმობს სინამდვილეში ხელშეკრულებაში ჩადებული პუნქტი, რომლითაც წულაია მერიას ედავება და პუნქტი, რომლითაც მერიის წარმომადგენელი თავს დაზღვეულად გრძნობს, შემდეგნაირად გამოიყურება.

მუხლი 5.2. აღნაგობის უფლების ვადის გასვლის შემთხვევაში მესაკუთრემ აღნაგობის მქონეს უნდა მისცეს სათანადო ანაზღაურება ნაკვეთზე აღმართული ნაგებობისთვის. სათანადო ანაზღაურებად არ ჩაითვლება თანხა, რომელიც არ შეადგენს ნაგებობის ღირებულების 2/3-ს მაინც.

მუხლი 5.3. მესაკუთრეს შეუძლია, ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ, აღნაგობის უფლების მქონეს გაუგრძელოს აღნაგობის უფლება ნაგებობის არსებობის სავარაუდო ვადით, თუ აღნაგობის მქონე უარს იტყვის ამ გაგრძელებაზე, მაშინ იგი კარგავს ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

რას გულისხმობს რეალურად ხელშეკრულებაში ჩადებული პუნქტები, ამის დადგენას მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროს ირაკლი გიორგაძესთან შევეცადეთ. გიორგაძის განმარტებით მერია ვალდებულია, აღნაგობის უფლებით გაცემულ ფართზე აგებული შენობა ღირებულების გათვალისწინებით გამოისყიდოს.

„ვადის გასვლის შემდეგ, მესაკუთრე ვალდებული არის აღნაგობის მქონე პირს აუნაზღაუროს აშენებული ქონება-ნაგებობის ღირებულება, გათვალისწინებით ცვეთისა და ა.შ. თუკი არ აუნაზღაურებს, მაშინ უნდა გაუგრძელოს ხელშეკრულება იმ ვადით, რა ვადითაც იარსებებს ეს შენობა-ნაგებობა. თუკი აღნაგობის უფლების მქონე უარს იტყვის ვადების გაგრძელებაზე, მაშინ მას ჩამოერთმევა ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მოგებული არ რჩება მხოლოდ აღნაგობის მქონე, რადგან ხელშეკრულებით თვითმმართველობას ყოველწლიურად აღნაგობის ქირა შემოდის, ეს ქირა გაიზრდება მიწის საბაზრო ღირებულების შესაბამისად," — აღნიშნა **ირაკლი გიორგაძემ.**

როგორც გასხვისებულ სკვერებზე გაფორმებული ხელშეკრულებიდან ირკვევა, აღნაგობის უფლების მქონეს შესაძლებლობა აქვს, 25 წლის შემდეგ, აღებული ფართი კვლავ აღნაგობის უფლებით დაიტოვოს, რისთვისაც ექსპერტის დასკვნა იქნება საკმარისი, რომ შენობას 25 წლის შემდეგაც აქვს ექსპლუატაციის უფლება.

გაზეთი „P.S." დაინტერესდა, გაერკვია, რა თანხას იხდიან ინდმეწარმეები ქალაქში არსებულ ბაზრობებზე ერთ კვადრატულ მეტრ ფართზე. აღმოჩნდა, რომ კვადრატულ მეტრზე დღიურად ინდმეწარმეების ყველაზე მცირე გადასახადი 5 ლარია, რაც წლიურად 1800 ლარს შეადგენს. ამ დროს კი ქუთაისის საკუთრებაში ასრებულ 303.0 $მ^2$ აღნაგობის უფლების მქონე მერიას წლიურად მხოლოდ 1515 ლარს უხდის.

ნესტან ჩაგელიშვილი

ქუთაისი ახალ წელს რეაბილიტირებული ნაძვის ხეებით შეხვდება

ქუჩების საახალწლო მორთულობა ამჯერადაც არ გასცდება ქალაქის ცენტრს...

წინასაახალწლო პერიოდის მოახლოებასთან ერთად, ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა საახალწლო განწყობის შესაქმნელად გირლიანდებითა და ნათურებით ქალაქის მორთვა უკვე დაიწყო. მიმდინარე წლის ბიუჯეტში ამისათვის 91 000 ლარია გამოყოფილი.

„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

თუმცა, მსგავსად წინა წლებისა, საახალწლო განწყობა ამჯერადაც არ სცდება ქალაქის ცენტრს, რასაც მერის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ზურაბ ზამბახიძე, საკმარისი თანხების არარსებობით ხსნის.

ქალაქში საახალწლო მორთულობის მონტაჟს ტენდერში გამარჯვებული კომპანია — შპს „აღმდგენი"აწარმოებს.

„ქალაქში საახალწლო მორთულობის მონტაჟისთვის 91 000 ლარია გამოყოფილი. ამ თანხაში შედის ინვენტარის შესყიდვა, აღდგენა, მონტაჟი და დემონტაჟი. რაც შეეხება ქუჩებს, წელსაც საახალწლო მორთულობა, სამწუხაროდ, ვერ სცდება ქალაქის ცენტრს, თუმცა, ცენტრთან ახლოს მოვახდინეთ რამდენიმე ქუჩის დამატება, მათ შორის: ცისფერყანწელთა ქუჩა, სადაც ახალი დეკორაცია იქნება, ასევე – წმინდა ნინოს, თამარ მეფის, ბუხაიძის ქუჩები და წერეთლის გამზირი. გარეუბნებში გასვლა ძვირი სიამოვნებაა, რისი საშუალებაც, ბიუჯეტიდან გამომდინარე, ნამდვილად არ გვაქვს, აღსანიშნავია, რომ ცენტრალურ ბულვარში მოირთვება ხეები," – აღნიშნა **ზურაბ ზამბახიძემ.**

რაც შეეხება საახალწლო ნაძვის ხეებს, როგორც გაირკვა, მიმდინარე წელს არც ახალი ნაძვის ხეების შეძენა მოხდება. თუმცა, ზამბახიძის განცხადებით, ხელშეკრულებაში ჩადებული პირობით, შპს „აღმდგენი" ვალდებულია, არსებული ნაძვის ხეების რეაბილიტაცია მოახდინოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზამბახიძისავე განცხადებით, ქუთაისს, ფაქტობრივად, ახალი ნაძვის ხეები ექნება, რომელთაგანაც ერთი ტრადიციულად მესხიშვილის თეატრის წინ დაიდგმება, მეორე ნაძვის ხის ადგილზე კი ამ დრომდე არ არიან შეჯერებულნი.

ქალაქის ცენტრში გირლიანდების და ნათურების მონტაჟი მიმდინარე კვირაში დაიწყო და 20 დეკემბერს დასრულდება. რაც შეეხება საახალწლო მორთულობის დემონტაჟს, იგი 2014 წლის 20 იანვრამდე უნდა დასრულდეს.

საახალწლო მორთულობისგან განსხვავებით, გარეუბნებში საახალწლო განწყობის შექმნას შეეცდება მერიის კულტურის სამსახური. როგორც სამსახურის მთავარი სპეციალისტი **თამთა თურმანიძე** აღნიშნავს, თოვლის ბაბუა ამჯერადაც ქუთაისის ყველა მუნიციპალიტეტს მოივლის.

„ახალი წელი არის მომენტი, როდესაც ყველა ელოდება ახალს, განსხვავებულს, არის დიდი მოლოდინი და ვცდილობთ, გავამართლოთ ეს მოლოდინი. გვაქვს რამოდენიმე სიახლე, რაც მთავარია, გვინდოდა, არ ყოფილიყო კონცენტრირებული მხოლოდ ქალაქის ცენტრზე და ჩართული ყოფილიყო გარეუბნებიც, ამიტომაც გვეყოლება თოვლის ბაბუა, რომელიც რამდენიმე წელია, სტუმრობს ქუთაისს, იმოძრავებს ქალაქში, მოივლის ყველა მუნიციპალიტეტს და იქ მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს ახალ წელს მიულოცავს. გარდა ამისა, დღის განმავლობაში „მონპლეზირის" თაღის მიმდებარე ტერიტორიაზე ქუთაისელი დიზაინერების მიერ დამზადებული საახალწლო სათამაშოების, აქსესუარებისა და მისალოცი ბარათების გამოფენა-გაყიდვა გაიმართება. ასევე პირველ და ორ იანვარს ნიღბების, ბერიკების და თოჯინების თეატრების დასები ბავშვებისთვის სხვადასხვა წარმოდგენებს გამართავენ. რეაბილიტირებულ უბანში დაიდგმება თოვლის ბაბუის სახლი, სადაც მისულ პატარებს გოზინაყით გაუმასპინძლდება.

გავითვალისწინეთ ადგილობრივი შემსრულებლების გულისტკივილი, რომელსაც ხშირად გამოთქვამენ იმის გამო, რომ არ არიან ღონისძიებებში ჩართულნი, წელს აქცენტი მათზე იქნება გადატანილი, თუმცა, ამავდროულად, საახალწლო კონცერტზე გვეყოლება რამოდენიმე სტუმარიც, რომელთან მოლაპარაკებაც ამ დროისთვის მიმდინარეობს. ასე შევეცდებით ქუთაისელებს კარგი საახალწლო განწყობა შევუქმნათ," — აღნიშნა მერიის კულტურის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა თამთა თურმანიძემ.

ნესტან ჩაგელიშვილი

„ტერმინოლოგიური შეფუთვით, შესაძლოა, ქვეყანაში ახალი ავტონომიური წარმონაქმნები გაჩნდეს"

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, რომელიც ქვეყანაში უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს, აზრთა სხვადასხვაობის საგნად იქცა.
კოდექსის ავტორებს მიაჩნიათ, რომ რეფორმა აუცილებელია, რათა მოხდეს დეცენტრალიზაცია და საზოგადოების დაახლოება თვითმმართველობის ორგანოებთან; არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების ნაწილი კი კანონპროექტში არსებულ იურიდიულ თუ სხვა სახის პრობლემებზე საუბრობს.
გთავაზობთ ინტერვიუს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძესთან.

— ბატონო ტარიელ, რა არის თქვენთვის მიუღებელი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" კანონპროექტში და რა რეკომენდაციებს აძლევთ მთავრობას?

— პირველ რიგში, არ მომწონს ამ კოდექსის ფორსირებული დამტკიცება (31.10.2013) საქართველოს მთავრობის მიერ; არ მომწონს იმიტომ, რომ ამ კოდექსში შემოტანილია, ერთი მხრივ, ე.წ. რეგიონული თვითმმართველობის ელემენტები, რომლებსაც არ ითხოვს „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მეორე მხრივ კი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში სრულიად ზედმეტია ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლის — ე.წ. გუბერნატორის — ინსტიტუტზე მსჯელობა, რამდენადაც, რწმუნებული თუ გუბერნატორი მმართველობითი რგოლია და არა — თვითმმართველობითი; და, რაც მთავარია, ამ კოდექსში ტერმინოლოგიურად შეფუთულია საქართველოს სახელმწიფოს ახალი ტიპის მოწყობა — ე.წ. რეგიონული მოწყობა, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას; კერძოდ, რაც არ უნდა უარყოს ბატონმა თენგიზ შერგელაშვილმა, რომ მისი კანონპროექტით შემოთავაზებული ე.წ. მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანება" არ არის ფედერაციული ერთეული, ფაქტია, რომ „ მუნიციპალიტეტთა რეგიონულ გაერთიანებას" ჰყავს თავისი წარმომადგენლობითი ორგანო — მთავრობის მიერ დანიშნული გუბერნატორი — აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი სტრუქტურებით. საქართველოს მხარეებში ამგვარი ე.წ. ჰიბრიდული — ადმინისტრაციული საზღვრების მქონე მმართველობით-თვითმმართველობითი რგოლის შექმნა არის მოკლე გზა საქართველოს ე.წ. რეგიონული მოწყობისაკენ. რეგიონული მოწყობა კი საქართველოს არსებულ კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

არსებითია სხვა წახნაგიც: ე.წ. რეგიონული გაერთიანებების ერთი ნაწილის საზღვრები ემთხვევა ბოლო 200 წელიწადში საქართველოში ჩამოსახლებული ისეთი ეთნიკური უმცირესობის ანკლავს, სადაც, საბჭოეთის ენობრივი პოლიტიკის ინერციით. მოსახლეობა დღემდე ვერ ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას.

— ბატონო ტარიელ, იქნებ მკითხველს განუმარტოთ საერთაშორისო ტერმინის „რეგიონი" მნიშვნელობა...

— სიტყვა-ფორმა „რეგიონი" ბარბარიზმია; სრულიადაც არ არის საჭირო მისი ქართულ ენაში დამკვიდრება; აუცილებლობის შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს შესანიშნავი ქართული სიტყვა „მხარე"; რიგ შემთხვევაში გამოსადეგია, ასევე: „კუთხე", „ხეობა"; რაც მთავარია, დასავლეთში ფართოდ გამოყენებული ტერმინი „რეგიონი", ძირითადად, გამოიყენება ადმინისტრაციული საზღვრების არმქონე გეოგრაფიულ-ეკონომიკური ტერიტორიის აღსანიშნავად (მაგალითად, კავკასიის რეგიონი, შავი ზღვისპირა რეგიონი) და იშვიათადაა გამოყენებული ადმინისტრაციული საზღვრების მქონე სივრცის აღსანიშნავად; ევროპაში, ასეთ შემთხვევაში, გვაქვს ფაქტობრივი ავტონომიური მმართველობა. ჩვენი პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი (ოპოზიციაც, ხელისუფლებაც) სწორედ მესამე მნიშვნელობით იყენებს ტერმინს „რეგიონი". ამ ფონზე ვამბობ: არის მიზანმიმართული მცდელობა, საქართველოში შემოღებულ იქნას ე.წ. რეგიონული მმართველობა. ეჭვი მაქვს, რომ საქართველოში რეგიონალიზმის დამკვიდრების მცდელობა საქართველოს გარედანაა სტიმულირებული; მაგალითად, საქართველოს შესახებ ევროსაბჭოს ერთ-ერთი ოფიციალური განცხადების სათაური ასე ჟღერს: „ ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატია საქართველოში". ვფიქრობ, რომ „რეგიონული დემოკრატია" ესაჭიროება ისტორიული ავტოქთონი უმცირესობებით დასახლებულ ქვეყნებს და არა — საქართველოს, სადაც ასეთი მოსახლეობა არ ცხოვრობს; აქტიური გეოპოლიტიკური ვექტორების გზაჯვარედინზე მყოფ საქართველოში ე.წ. რეგიონული გაერთიანებების დაკანონება სახელმწიფოს დეზინტეგრაციის რისკებს გაზრდის; კერძოდ, იმ განაპირა მხარეებში, რომლებშიც სახელმწიფო ენა ვერ ფუნქციონერებს, ე.წ. რეგიონული საბჭოები შეეცდებიან, სახელმწიფო ენად დააკანონონ სხვა ენა; საქართველოს დეოკუპაციამდე ამგვარი ქმედებები ქვეყნის დეზინტეგრაციის საფრთხეებს სერიოზულად გაზრდის.

— კანონპროექტის განხილვისას ბატონმა თენგიზ შერგელაშვილმა განაცხადა, რომ „მუნიციპალიტეტების რეგიონული გაერთიანების" მსგავსი წარმონაქმნები ევროპაში არსებობს და იქ არავითარ რისკებს არ შეიცავს...

— ევროპის ქვეყნების — ბელგიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის... რისკები და საუკუნოვანი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ველში არსებული საქართველოს რისკები ერთი და იგივეა? მით უმეტეს, დღეს საქართველოს დიდი ნაწილი ოკუპირებულია. ჩვენი მეზობლები: რუსეთი, თურქეთი, ირანი... ძალიან ძლიერი გეოპოლიტიკური მოთამაშეები არიან; თავიანთი ინტერესები აქვთ სომხებს, აზერბაიჯანელებს... ათასი სხვა პრობლემაცაა საქართველოში, შესაბამისად, მიმაჩნია, რომ მცირე ტერიტორიის მქონე საქართველოს ნამდვილად არ სჭირდება რეგიონული თვითმმართველობები თუ ე.წ. ჰიბრიდული მმართველობები. „ თვითმმართველობების შესახებ ევროპული ქარტია" შესანიშნავი დოკუმენტია; ის ითხოვს სოფლისა და რაიონის დონეებზე რეალური თვითმმართველობების ამოქმედებას და არა — ე.წ. რეგიონულ თვითმმართველობისა თუ მმართველობის შემოღებას. თუ ჩვენ გვინდა თვითმმართველობაში დავამკვიდროთ ევროპული პრინციპები, სრულიად საკმარისია, სოფლის ანუ თემისა და რაიონის თვითმმართველობები გავაძლიეროთ.

2013 წლის 31 ოქტომბერს მთავრობის მიერ დამტკიცებული „თვითმმართველობის კოდექსით" შემოთავაზებული ე.წ. ჰიბრიდული რეგიონული ხელისუფლების დამკვიდრება ეწინააღმდეგება ევროპულ ქარტიას; სინამდვილეში ეს არის გზა რეგიონალიზაციისკენ... მავანი შეეცდება, ამ გზის აუცილებლობა აფხაზეთის საკითხის მოგვარების პერსპექტივით ახსნას; მათ ფიგურალურად ვუპასუხებ: არც ერთი ნორმალური ექიმი ერთი მოტეხილი კიდურის მკურნალობას არ იწყებს მეორე კიდურის მოტეხით... აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში საქართველოს გარედან ინსპირირებული კონფლიქტების მოსაგვარებლად არ არის საჭირო საქართველოს სხვა კუთხეების ავტონომიზაცია... ფაქტია ისიც, რომ ბოლო 20 წელში მიზანმიმართულად და თანამიმდევრულად ჩვენს ქვეყანას თავს ახვევენ რეგიონალიზაციას.

— საქართველოში ე.წ. სამხარეო მმართველობები შევარდნაძის დროს შემოიღეს... რით განსხვავდება არსებული მოდელი შევარდნაძის მოდელისგან?

— 1995 წელს შევარდნაძემ თავისი მმართველობის გასაძლიერებლად არაკანონიერად შემოიღო არაკონსტიტუციური სამხარეო მმართველობითი რგოლი — პრეზიდენტის რწმუნებული, რომელიც დააკანონა 1997 წელს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა უფრო გააძლიერა სამხარეო მმართველობითი რგოლი, ამჟამინდელი ხელისუფლება კი ამ კოდექსით ცდილობს, მას დაუმატოს თვითმმართველობითი კომპონენტი — მუნიციპალიტეტებში არჩეული დეპუტატების მიერ შექმნილი რეგიონული საბჭო, რომელსაც გარკვეულწილად უქვემდებარებს გუბერნატორს — ცენტრალური ხელისუფლების მიერ დანიშნულ თანამდებობის პირს; ვფიქრობ, იქმნება მუდმივი წინააღმდეგობის შემცველი ე.წ. ჰიბრიდული მმართველობა, რომელიც მეტად სახიფათოა საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც სახელმწიფო ენა არ ფუნქციონირებს და იქაც, სადაც ძლიერია მეზობელი ქვეყნების გავლენა თუ ზეწოლა. ხაზგასმით ვამბობ: „მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანებების" დამკვიდრებით ტერმინოლოგიური შეფუთვით მკვიდრდება ფაქტობრივი რეგიონული მოწყობა თვითმმართველობის ელემენტებით! გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში არსებული და ოკუპირებული საქართველოსთვის ეს ძალიან სახიფათოა! შესაბამისად, აუცილებელია, ეს კანონპროექტი ფართო განხილვის საგნად იქცეს. უნდა აღინიშნოს, რომ კანონში დადებითი

ტარიელ ფუტკარაძე

მომენტებიც არის, მაგრამ ამის გამო სახიფათო რისკებს თვალი არ უნდა ავარიდოთ.

— „კოდექსის" განხილვისას თქვენ ისაუბრეთ თვითმმართველობისა და რეგიონული ენების შესახებ ქარტიების მიმართებებზე; თუმცა, მათ შორის კავშირი უარყო მთავრობის წარმომადგენელმა...

— ვიდრე ამ თემას გავშლიდეთ, აღვნიშნავ, რომ კოდექსის ბოლო ვარიანტიდან ამოღებულია მუხლი, რომელიც აკანონებს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში საქმისწარმოების ენა უნდა იყოს სახელმწიფო ენა. წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები ლოგიკური არ არის... ვფიქრობ, რომ იმ რაიონებში, რომლებშიც მოსახლეობა ვერ ფლობს სახელმწიფო ენას, არსებული პრობლემები მომავალში უფრო გართულდება; მით უმეტეს, სომხეთისა თუ რუსეთის ხელისუფლებები დღენიადაგ ითხოვენ, ასეთ პირობებში დაკანონდეს ე.წ. რეგიონული ენები „ევროპული ქარტიის" პრინციპების შესაბამისად. არ მოვერიდები კატეგორიულობას და ვიტყვი: საქართველოს დეოკუპაციამდე და საქართველოს ყველა მხარეში სახელმწიფო ენის ფუნქციონირების აღდგენამდე, საქართველომ რატიფიკაცია არ უნდა გაუკეთოს „რეგიონული ენების შესახებ ევროპულ ქარტიას"; გარდა ამისა, რეგიონული ენებისა და რეგიონული თვითმმართველობების დამკვიდრების მცდელობა რომ გარკვეულწილად ერთმანეთს მოიცავს, ბრმისთვისაც კი ნათელია, რამდენადაც ნებისმიერი თვითმმართველობითი თუ მმართველობითი ორგანოს სტრუქტურები რომელიღაც ენაზე ფუნქციონირებენ და ეს განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში. ჩემი აზრით, თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია და რეგიონული ენების ქარტია, ადამიანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ერთი ფურცლის ორი გვერდია, ეს თუ ვინმემ არ იცის, მისი პრობლემაა. აქვე აღვნიშნავ, რომ დასახელებული ორივე კანონი დიდებული დოკუმენტია, მაგრამ რატომღაც ჩვენთან მიზანმიმართულად ხდება ამ ქარტიების არსის დამახინჯება და არასწორი ინტერპრეტაციების თავსმოხვევა. ეს არცოდნის გამო ხდება თუ ვიღაცის დავალებით, ამაზე პატივცემულმა მკითხველმა იფიქროს.

სააკაშვილის ხელისუფლებამ ზემო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული ორგანოების შექმნით საბაბი მისცა რუსეთს, რომ გაეფართოვებინა ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრები. მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანება დღეს შეიძლება სახიფათოდ არ ეჩვენება ჩემს ძველ კოლეგას ბატონ ირაკლი მელაშვილს, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ დღეს თუ არა ხვალ, ე.წ. რეგიონული საბჭოები სახიფათო გახდება ოკუპირებულ და მყიფე სახელმწიფოობრიობის მქონე საქართველოში, რომლის სხვადასხვა კუთხეში ძალიან ძლიერია გეოპოლიტიკური ამბიციების მქონე სხვადასხვა ქვეყნის გავლენები.

ვფიქრობ, ჯავახეთშიც, აჭარაშიც და საქართველოს სხვა განაპირა კუთხეებშიც არის ალბათობა, იმდენად გაძლიერდეს მეზობელი ქვეყნების ზეწოლა, რომ დეზინტეგრაციული პროცესები შეუქცევადი გახდეს; შესაბამისად, საქართველოს დანაწევრების მოსურნე ძალებს ე.წ. რეგიონული საბჭოების სახით ახალი ინსტრუმენტი არ უნდა მივცეთ, მით უმეტეს, ოფიციალურად ამას არ გვთხოვენ ევროპული სახლის არქიტექტორები... კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ: ევროპისკენ მსწრაფ საქართველოს სახელმწიფოს აუცილებლად ესაჭიროება თემისა (სოფლისა) და რაიონის რეალური თვითმმართველობის დამკვიდრება, მაგრამ მცირე ტერიტორიის მქონე ქვეყნისთვის სრულიად ზედმეტია და, ამავე დროს, გაუმართლებელი რისკების შემცველია, ე.წ. რეგიონულ დემოკრატიაზე ოპერირებით რეგიონული წარმომადგენლობითი საბჭოების დამკვიდრება; მეტიც, მიმაჩნია, რომ საერთოდ გასაუქმებელია ე.წ. რეგიონული მმართველობაც და თვითმმართველობაც, სრულიად ზედმეტია გუბერნატორის ინსტიტუტი! კავკასიის რეგიონის რთული გეოპოლიტიკური პროცესების კონტროლის მიზნით, საქართველოს რამდენიმე განაპირა მხარეში თუკი იარსებებს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენლის აპარატი, მაქსიმუმ, 3-კაციანი შტატით, სრულიად საკმარისი იქნება.

— თუკი მოვლენები ცუდი სცენარით განვითარდება, პასუხისმგებლობა ვის დაეკისრება?

— რა თქმა უნდა, ამჟამად არსებულ, ამ კოდექსის მიმღებ ხელისუფლებას. აქვე აღვნიშნავ, რომ „ქორთიარდ მარიოტში" კანონპროექტის განხილვისას ბატონმა ირაკლი მელაშვილმა განაცხადა, რომ ე.წ. სამხარეო მოწყობა და პრეზიდენტის რწმუნებულების ინსტიტუტი დააკანონა წინა ხელისუფლებამ და ამაზე პასუხისმგებლობას ამჟამინდელი მთავრობა ვერ აიღებს... ბატონ ირაკლის ასე ვუპასუხებ: წინა ხელისუფლებების მიერ თუკი ცუდი რამ გაკეთდა, აუცილებელია, ამ ცუდის გამოსწორება და არა — „ცუდად გაჭრილი კალაპოტის" გაღრმავება სამხარეო მმართველობაზე ე.წ. რეგიონული წარმომადგენლობითი საბჭოების დამატებით. უმჯობესია, „დე იურე" სრულიად გავაუქმოთ ე.წ. გუბერნატორის ინსტიტუტიც და სხვა სამხარეო სტრუქტურებიც! მცირემიწიან საქართველოს არ სჭირდება ამდენი მმართველობითი თუ თვითმმართველობითი რგოლი! ვიმეორებ, საკმარისია, რეალური თვითმმართველობა ჰქონდეს სოფელსა და რაიონს, ხოლო პრობლემურ მხარეებში პრემიერ-მინისტრმა დანიშნოს წარმომადგენელი 3-კაციანი აპარატით. დისკუსიისას ბატონმა ირაკლი მელაშვილმა განაცხადა, რომ არც მას „ეხატება გულზე" გუბერნატორის ინსტიტუტი და მხარს დაუჭერს კონსტიტუციიდან ამ მმართველობითი რგოლის ამოღებას...

— საქართველოს პარლამენტი რამდენად გაითვალისწინებს ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შენიშვნებს მთავრობის მიერ მოწონებული კოდექსის განხილვისას?

— როგორც საპარლამენტო უმრავლესობაში, ასევე, უმცირესობაში „კოდექსს" მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც; ცოტათი მამშვიდებს ის, რომ საპარლამენტო უმრავლესობაში მყოფი ჩემი მეგობრებიც თვლიან, რომ „კოდექსის" მე-7 კარი /„მუნიციპალიტეტთა რეგიონული გაერთიანების" შესახებ/ სახელმწიფოს დეზინტეგრაციის რისკებს შეიცავს. არ გამოვრიცხავ, წარმოდგენილი კოდექსის პროექტის განხილვა გახდეს საფუძველი, პოლიტიკურ სპექტრში ახალი კონფიგურაციით მკაფიოდ გაიმიჯნონ ნეო თუ ფსევდოლიბერალურად და ეროვნულ-სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები. იმედი მაქვს, პარლამენტის შესაბამის კომიტეტში მოეწყობა ფართო განხილვა, შედგება კონსენსუსი და „თვითმმართველობის კოდექსიდან" ამოღებული იქნება მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს ე.წ. რეგიონული საბჭოების შექმნას.

მოამზადა თამთა კაკაურიძემ

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ეს კვირა ისეთი მშვენიერი იქნება, რომ ხშირად და კარგად გაიხსენებთ.

კურო: შეეცადეთ, შეზღუდოთ ინფორმაციის მიღების ჩვეული წყარო, საუკეთესო დროა ბუნებაში გასატარებლად.

ტყუპები: გექნებათ მიზეზი გაერთოთ ყველაზე ახლო მეგობრების წრეში. დაურეკეთ იმათ, ვინც თქვენს ინტერესებს იზიარებს. თუ კარგად გათვლით შემადგენლობას სასიამოვნო ატმოსფეროში მოგიწევთ დროის გატარება.

კირჩხიბი: კარგი პერიოდია საკუთარი გარეგნობის მისახედად. კარგი იქნება ვარცხნილობის შეცვლა, მაღაზიებში გავლა და გარდერობის განახლება.

ლომი: გულწრფელი საუბარი მეგობართან ბევრ უპასუხო შეკითხვას წარმოშობს. აღმოაჩენთ, რომ ადამიანი რომელთანაც მთელი ცხოვრებაა მეგობრობთ თქვენთვის აბსოლიტურად უცხოა, თუმცა ის სიახლე რასაც მასში აღმოაჩენთ, კიდევ უფრო უკეთესი მხრიდან წარმოაჩენს.

ქალწული: თავგადასავლებისკენ გაგიწევთ გული, თუმცა სიფრთხილე გმართებთ. უმჯობესია, გაანალიზოთ მომხდარი მოვლენები და მიღებული შედეგები გაითვალისწინოთ სამომავლოდ.

სასწორი: მოიკრიბეთ ძალები და წარმატებაც თქვენი მეგზური იქნება. წინ გელით საინტერესო თავგადასავლები, წარმატება სიყვარულში და საუკეთესო ემოციები. სიფრთხილე გმართებთ ფინანსური ოპერაციების დროს.

მორიელი: საკმაოდ პრობლემური დღეები გელით. სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებთ ეცადეთ, კარგად გაეცნოთ სიტუაციას. აკონტროლეთ საკუთარი ემოციები, რათა თავი აარიდოთ ოჯახში პრობლემებს.

მშვილდოსანი: ცხოვრება გარკვეულ სიტუაციაში მოგახვედრებთ, რომელიც წარმატებებს გპირდებათ, მაგრამ თავბრუ არ დაგეხვეთ, მიყევით დინჯათ და დაფიქრებით.

თხის რქა: განსაკუთრებული წარმატება ტექნიკურ სფეროში მომუშავეებს ელით. ეს პერიოდი იდეალურია ფინანსური ოპერაციებისათვის.

მერწყული: მძიმე და დაძაბული მუშაობა მოგიწევთ. კვირის ბოლოს საინტერესო შეხვედრა გელოდებათ.

თევზები: კარგია სამოგზაუროდ წასვლა მეგობრებთან ერთად, რათა სრულიად აღიდგინოთ ენერგია შემდეგი წარმატებების მისაღწევად. დასვენება თქვენთვის მთელი წლის ენერგიას შეგძენთ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ათეიზმი; 5. კროლი; 6. უდე; 8. ფხა; 9. მარაო; 11. მარაბდა.
შვეულად: 1. რეალი; 2. იზა; 3. აბრახამ; 4. ინდიანა; 7. ბარბი; 10. ორი.

აშშ-ის საელჩო ჰოვარდის უნივერსიტეტის გოსპელის გუნდს მასპინძლობს – თბილისში, ქუთაისსა და ზუგდიდში!

ჰოვარდის უნივერსიტეტის გოსპელის გუნდის 20 მომღერალი გამართავს უფასო კონცერტებს, რომლებზეც დასწრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია!



კონცერტები გაიმართება:

9 დეკემბერი, 19:00 საათი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღონისძიებათა დარბაზი;

10 დეკემბერი, 18:00 საათი — მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი;

11 დეკემბერი, 17:00 საათი — ზუგდიდის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი.

თქვენ გექნებათ უნიკალური შესაძლებლობა, გაეცნოთ ამერიკული მუსიკის ამ უაღრესად საინტერესო ჟანრს, ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის შესრულებით. ჰოვარდის გოსპელის გუნდი 1968 წელს დაარსდა მელანი როსელის და როზალინდ ტომპკინსის მიერ. კოლეჯის ამ ტიპის მუსიკალური გუნდი მსოფლიოში პირველი იყო. მოგვიანებით მან გოსპელის მუსიკის საერთაშორისო კულტურულ მემკვიდრეობად ქცევას შეუწყო ხელი. გუნდი ამაყობს სამოცდაათზე მეტი წევრით, რომელთა უმრავლესობა სტუდენტები და ჰოვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები არიან, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გუნდში საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც მოღვაწეობენ. გუნდი დაკომპლექტებულია გამორჩეული პროფესიონალებით სხვადასხვა დისციპლინაში. გუნდის ყოფილი წევრები არიან არაერთი ჯილდოს მფლობელები, მათ შორის გრემის გამარჯვებული რიჩარდ სმალვუდი, კორ კოტონი და ალბერნიტა კლარკი, ლეგენდარული „კლარკ სისტერს"-ის წევრი და R.B-ს ვარსკვლავი ანჯელა ვინბუში. გამორჩეული მუსიკოსები ქმნიან გუნდის განსაკუთრებულ ხმოვანებას, რომელიც მოიცავს როგორც თანამედროვე და ტრადიციულ გოსპელს, საეკლესიო ჰიმნებს, ასევე — მონობაში მყოფი აფრო-ამერიკელების საეკლესიო სიმღერებსა და კლასიკურ ჰიმნებს. გუნდი ყოველთვის ცდილობდა, ყოფილიყო გამორჩეული.

1981, 1982, 1984 და 1989 წლებში მათ რამდენჯერმე მოიპოვეს პირველი ადგილი Black Caucus of Music Educators' National Conference-pt. 1989 წელს ვაშინგტონის მუსიკის ასოციაციამ ჰოვარდის გოსპელის გუნდი „საეკლესიო წირვის საუკეთესო გუნდად" დაასახელა. 2001 წელს მათ პირველი ადგილი აიღეს ეროვნულ საშემსრულებლო ხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის ვორკშოპზე, ხოლო მომდევნო წელს ამავე კონკურსში გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. 2005 წელს მათ მეორე ადგილი და რამდენიმე ჯილდო მოიპოვეს Black Caucus of Music Educators' National Conference-ზე - „საუკეთესო დირიჟორი სტუდენტი", „საუკეთესო ორიგინალური კომპოზიცია", „საუკეთესო რეპერტუარის ნაკრები" და „საუკეთესო მამაკაცი სოლისტი". გასული ოთხი ათწლეულის განმავლობაში ჰოვარდის გოსპელის გუნდმა შეძლო, საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი სტანდარტისათვის მიეღწია. გუნდს აქვს პრივილეგია, წარსდგეს თეთრ სახლში, საკონსტიტუციო დარბაზში, ვაშინგტონის ეროვნულ საკათედრო ტაძარში, ჯონ კენედის ხელოვნების ცენტრში, კორკორანის ხელოვნების გალერეაში, ლინკოლნის მემორიალთან, ბრიტანეთის საელჩოში, ენდრიუ მელონის აუდიტორიაში, ეროვნულ მუზეუმში, უორნერისა და ლინკოლნის თეატრებში და სხვა. ყოველი წლის შემოდგომაზე ასიათასობით ადამიანი ვაშინგტონიდან ესწრება ჰოვარდის უნივერსიტეტის ყოველწლიურ ე.წ. „სახლში დაბრუნების" დღესასწაულს. გუნდი ამ ღონისძიების უცვლელი მონაწილეა, ის ან ხსნის ცერემონიას, ან მღერის ისეთ ვარსკვლავებთან, როგორიც არიან ჩოკო, ტაი თრიბეტი და გრეითერ ანოინთინგი, კიმ ბარელი, მერი მერი და ჯილდოს მფლობელი კურტ კარი და მისი მომღერლები. 2009 წელმა მდიდარი ახალი შესაძლებლობები და გამოცდილება მოუტანა გუნდს. მათ მონაწილეობა მიიღეს შვიდ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებაში, რომელიც ეძღვნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების ორმოცდამეოთხე პრეზიდენტის, ბარაკ ჰუსეინ ობამას ექვსდღიან საინაუგურაციო დღესასწაულს.

მარტში ეროვნულ დემოკრატიული კომიტეტისათვის ფინანსების მოსაზიდ ღონისძიებაზე გუნდი მღეროდა ტონი ბენეტთან ერთად. ამჟამად გუნდს ხელმძღვანელობს ჰოვარდის უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების მეცნიერებათა კანდიდატი — რეჯინალდ გოლდენი კლივლენდიდან, ოჰაიო.



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ინფრასტრუქტურის მინისტრი **დავით ნარმანია** პირველად **ნელი ლოსაბერიძემ** ამოიცნო, შემდეგ გივი კახიძემ.

რას დაარქმევდით?

ვლადიმერ პუტინი

ზაქარია ქუსნაშვილი

— სად მიდიხარ, ზაქარია?
— რა ვქნა, პარლამენტში წვიმაა და ქარია!!!

ნელი ლოსაბერიძე

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

თარაზულად: 3. რა არის ტაიტი. 5. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში. 6. ადამიანის ბალანი. 8. დიდი მახრჩობელა გველი. 9. ჯადოქრობა, მისნობა. 11. ისლანდიის პარლამენტი.

შვეულად: 1. ქალაქი საქართველოში. 2. ... დე ფიუნესი. 3. ქვეყანა ინდოჩინეთში. 4. ეს ციხესიმაგრე აიღო სუვოროვმა. 7. თეფში. 10. ფრანგი ფიზიკოსი ალექს ტერეზ....



წიგნების მაღაზია ქიმერიონი

qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.
ტელეფონი: 790 927 927; (431) 274 474

IMERI TEXTILE COMPANY

იმერი
სამკერვალო კომპანია

სამკერვალო კომპანია „იმერი“ მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობითა და გამოცდილებით გამორჩეული ბრენდია როგორც ქართულ, ისე – უცხოურ ბაზარზე.

ქუთაისსა და თბილისში გაიხსნა **„იმერის“** საფირმო მაღაზიები, სადაც მომხმარებელს სთავაზობენ ქალისა და მამაკაცის პალტოებს, მანტოებსა და ქურთუკებს.
წარმოდგენილი პროდუქცია უმაღლესი ხარისხისაა და შექმნილია მსოფლიო ბრენდების ნიმუშებზე, ევროპული ტექნოლოგიით.
კომპანია „იმერი“ ემზადება ზაფხულის კოლექციის შესაქმნელად, რომელიც საფირმო მაღაზიებში გაიყიდება!

„იმერის“ საფირმო მაღაზიების მისამართი და საკონტაქტო მონაცემები:
ქუთაისი – ასათიანის ქ. №119;
ტელეფონი: 0431 22 07 08

თბილისი – მიცკევიჩის ქ. №6;
ტელეფონი: 551 555 163

მოდის სახლი „მარიონელა“
ექსკლუზიური სადედოფლო და საღამოს კაბები

თბილისი, მ. ჯავახიშვილის (ყოფილი ელბაქიძის დაღმართი) №12
ტელ.: +995 (432) 292-05-04

ქუთაისი, ა. პუშკინის ქუჩა №1
ტელ.: +995 (431) 25-31-21

ელ-ფოსტა:
marionela@mail.ru

www.marionela.ge

აია
ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომპანია

ლიმონათი „აია“ – ნატურალურ ნაყენსა და შაქარზე დამზადებული 11 სახეობის ლიმონათი:
„მსხალი“, „ლიმონი“, „ტარხუნა“, „ფორთოხალი“, „ატამი“, „დაფნა“, „ალუბალი“, „ნაღები“, „საფერავი“, „მარწყვი“, „შოკოლადი“.

„აიას“ ლიმონათი მზადდება თავად ქარხანაში დამუშავებული ცოცხალი ხილის ნაყენისაგან.
ლუდი „აია“ – უმაღლესი ხარისხის ალაოსა და უნიკალური წყაროს წყლისაგან დამზადებული ქუთაისური ლუდი.
ხარშვის პროცესს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ. მზადდება უახლესი ტექნოლოგიით.
მიირთვით „აიას“ პროდუქცია! იგი აბსოლუტურად უსაფრთხოა!

მისამართი:
ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №8
ტელეფონი:
(0 431) 22 01 94;
22 30 31; 22 40 05

ცხვირის ქირურგიული ცენტრი
თემურ ძიძიგური — ცხვირის და ყურის ქირურგი

კეთდება ოპერაციები:

1. გრძელ, კეხიან, ჩამოშვებულ, განიერნესტოიან, გაღუნულ ცხვირზე.
2. ცხვირის ძგიდეზე, ცხვირის ნიჟარებზე და პოლიპებზე.
3. დიდი ზომის და გადმოწეულ ყურის ნიჟარებზე.
4. მკურნალობენ ცხვირიდან სუნთქვის გაძნელებას.

მისამართი: ქუთაისი, სულხან-საბას ქ. №81 (ავანგარდის დასახლების ბოლოს)

ტელეფონი: (0 431) 22-31-02; **მობ.**: (599) 53-69-64;
(599) 14-08-13; ბინის (0 431) 24-57-63.



სამშენებლო კომპანია ტობე

ბეტონისა და რკინა-ბეტონის ქარხანა **„ტობე“ აწარმოებს:**

მაღალი სიმტკიცის, სერთიფიცირებულ მ-150; მ-200; მ-250; მ-300; მ-400 მარკის სასაქონლო ბეტონს; შემოღობვის ფილებს, საკედლე პანელებს, საძირკვლის, ზეძირკვლის, სარტყლის, საკედლე, წვრილსაკედლე, ტიხრის ბლოკებს.

ზღუდარებს, რიგელებს, კოლონებს, საკანალიზაციო ჭებს.
ყველა სახის, წინასწარ დაუძაბავ კონსტრუქციებს.
შეკვეთები სრულდება დროულად და ხარისხიანად, დამკვეთთან შეთანხმებით.

მისამართი: ქუთაისი, ავტომშენებლის ქუჩა №4

ტელეფონი:
(0 431) 23-60-60; 26-74-37

მობილური:
(5 77) 78-06-70; (5 71) 55-55-01

ქუთაისის ხის გადამამუშავებელი ქარხანა
კავკასუს როუდ პროჯექტ

სიახლე!
სააგარაკე მობილური სახლი (63 მ²):
მისაღები – 21,2 მ²
საძინებელი – 9,4 მ²
საძინებელი – 12 მ²
სამზარეულო – 4,65 მ²
სანკვანძი – 2,3 მ²
ღია აივანი – 8,96 მ²

ფასი: 1 მ² – 750 ლარი (ტრანსპორტირების ჩათვლით).

მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №21
ტელეფონი: (0 431) 23 43 34; 23 64 02; 599 22 88 27

ქართული თხილის გადამამუშავებელი საწარმო
„იმერნათი“

ექსპორტი ევროპის ქვეყნებში;

მოხალული თხილის გული შიდა ბაზრისთვის;

ადგილობრივი თხილის შესყიდვა მისაღებ ფასში.

იმერნათი
თხილის გადამამუშავებელი საწარმო

მისამართი:
ქუთაისი, ნიკეას ქ. №21

ტელეფონი: 555 10 56 62
E-მაილი: dat-chap77@mail.ru

„ოქროს ხელები“
ლითონის ჭედური ნაკეთობები

„ოქროს ხელები“ აწარმოებს ყველა სახის რკინის ნაკეთობას:
ჭიშკრებს, კარებს, გისოსებს, დარაბებს, მოაჯირებს, ქოლგებს, ჟალუზებს, ტახტს, მაგიდას, სკამს, ბუხრის ინვენტარს.

დახვეწილი დიზაინი, მრავალფეროვნება, სიძველის ეფექტი.
პროდუქციის ხარისხს განაპირობებენ ორნამენტის მხატვრულ დამუშავებაში გამოცდილი სპეციალისტები.
ვემსახურებით ადგილზე მიტანით საქართველოს ნებისმიერ რეგიონში

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №18
ტელეფონი:
593 113 318; 555 377 366
www.cheduri.weebly.com